Version A - 17 January, 2018

დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტი
საგარეო საქმეთა სამინისტრო

მეორე დიპლომატიური სათხილამურო შეჯიბრი

გუდაური
2018 წლის 10 თებერვალი

პროგრამა

2018 წლის 10 თებერვალი, შაბათი

06:45 საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების გამგზავრება ავტობუსით საგარეო საქმეთა სამინისტროდან, ჩიტაძის ქ. 4

09:30-10:00 შეჯიბრში მონაწილეთა ჩასვლა გუდაურში
შეკრების ადგილი: სასტუმრო „მარკო პოლო გუდაური“, უკანა შესასვლელი, სათხილამურო ეკიპირების პუნქტი SKI DEPOT
(გთხოვთ იხილოთ თანდართული რუკა)

- **რეგისტრაციის გავლა დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტის სარეგისტრაციო მაგიდასთან**
- **გთხოვთ, თან იქონიოთ ბილეთი, რომელიც ელექტრონული სარეგისტრაციო ფორმის შევსების შემდეგ გამოგეგზავნებათ ელ-ფოსტის მისამართზე**

09:30-10:00 შეჯიბრისთვის მომზადება/ეკიპირება
სასტუმროში გამოყოფილი იქნება 2 გამოსაცვლელი ოთახი მამაკაცებისა და ქალბატონებისთვის. მონაწილეებს რეგისტრაციისას გადაეცემათ ნომრიანი მაისურები.

10:00 გამგზავრება „კუდებზე“ ღია საბაგირო გზით N1; გადაჯდომა N2 საბაგირო გზაზე.

10:20 მისვლა შეჯიბრის ფინიშის ხაზზე („კუდები“)

10:25 შეჯიბრის მონაწილეების გამგზავრება ღია საბაგირო გზით N3;

10:30-11:00 მომზადება დაშვებისთვის/გავარჯიშება

11:00-13:00 შეჯიბრი (გთხოვთ იხილოთ საშეჯიბრო რუკა)

13:00-13:15 დაჯილდოების ცერემონია

13:15 ფეხით მისვლა ლანჩის ადგილზე - „ხიჟინასთან“

13:30-16:00 ლანჩი „ხიჟინაში“

16:00 დაბრუნება იმავე მარშრუტით სასტუმროში „მარკო პოლო გუდაური“

16:30 - გამგზავრება თბილისში

19:00თვის - დაბრუნება თბილისში

პროგრამის დასასრული

საინფორმაციო ბარათი

ორგანიზატორები: *მეორე დიპლომატიური სათხილამურო შეჯიბრი ორგანიზებულია ერთობლივად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოში გაერო-ს რეზიდენტ-კოორდინატორის ოფისისა და მთის კურორტების განვითარების კომპანიის მიერ.*

მონაწილეები: *საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და საპატიო კონსულები; საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები; საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები*

შეკრების ადგილის რუკა



საშეჯიბრო რუკა - „კუდები“



მგზავრობა: *შეჯიბრში მონაწილეებს, რომლებიც მგზავრობენ დამოუკიდებლად, შეკრების ადგილზე (სასტუმროში მარკო პოლო გუდაური) ვთხოვთ მობრძანდნენ პროგრამით გათვალისწინებულ დროს, რათა მოხდეს შეჯიბრის დროული დაწყება. მგზავრობის დაახლოებითი დრო თბილისი - გუდაური - 2სთ და 5 წთ. (124 კმ).*

სასტუმრო: თუ გსურთ სასტუმრო მარკო პოლო გუდაურის დაჯავშნა, სპეციალურად ამ ღონისძიებისათვის სასტუმრო გვთავაზობს სპეციალურ ტარიფებს. დაჯავშნისას გთხოვთ გამოიყენოთ ქვემოთ მითითებული პრომო-კოდი.

ტარიფები: სტანდარტული ერთადგილიანი ნომერი - 144 $ ერთი ღამე;
სტანდარტული ორადგილიანი ნომერი - 160 $ ერთი ღამე;
პრომო-კოდი: DIPSKI- 2018

შენიშვნები:

- *სასტუმროს ფასში შედის საუზმის ღირებულება;*
- *შემოთავაზება მოქმედებს 9-11 თებერვლის პერიოდში;*
- *ჯავშანი და სპეციალური ტარიფები ძალაშია 31 იანვრამდე;*
- *გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ოთახების რაოდენობა მაღალი სეზონის გამო შეზღუდულია და საჭიროების შემთხვევაში დროულად დაჯავშნოთ*

კონტაქტი:
მეილი: reservation@marcopolo.ge;
ტელ/ფაქსი: +(995) 32 220 29 00 (1)
+(995) 591 111 900
ინტერნეტ-გვერდი: http://marcopolo.ge

ტრანსპორტი:

- *საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები სარგებლობენ სპეციალურად ორგანიზებული ავტობუსით, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროდან (ჩიტაძის 4) დაიძვრება 10 თებერვალს 06:45 საათზე; ავტობუსი უკან დაბრუნდება იმავე დღეს, იმავე ადგილზე, 19:00 საათისთვის;*
- *მოწვეული მონაწილეები თავად უზრუნველყოფენ გუდაურამდე მგზავრობას და უკან დაბრუნებას; მოწვეულ მონაწილეებს ასევე შეუძლიათ ისარგებლონ საგარეო საქმეთა სამინისტროს ზემოთ მითითებული ავტობუსით - აღნიშნულზე უნდა მოხდეს განაცხადის შევსება ელექტრონული რეგისტრაციისას.*

პარკირება:

- *სასტუმროში „მარკო პოლო გუდაური“ გამოყოფილი იქნება პარკირება შეჯიბრის მონაწილეთა ავტომობილებისათვის;*
- *დამოუკიდებლად მიმავალი დარეგისტრირებული მონაწილეები ელექტრონული ფოსტით მიიღებენ პარკირების ნებართვას 8 თებერვალს; გთხოვთ, აღნიშნული პარკირების ნებართვა ფერადად ამობეჭდოთ, მანქანის წინა საქარე მინაზე თვალსაჩინოდ განათავსოთ და მიჰყვეთ პატრულის ოფიცრის მითითებებს.*

სამედიცინო მომსახურება:
შეჯიბრის ადგილზე მობილიზებული იქნება სასწრაფო დახმარების ეკიპაჟები და სათხილამურო პატრული.

დაჯილდოების ცერემონია:
შეჯიბრის დასრულების შემდეგ გაიმართება დაჯილდოების ცერემონია / ჯგუფური ფოტოს გადაღება

ლანჩი:
ლანჩი გაიმართება სასადილოში „ხიჟინა“.

ამინდი:
- *წვიმის/თოვლის დაბალი ალბათობა;*
- *მოსალოდნელი ტემპერატურა: -7 ° C;*
- *მზის ამოსვლა 8:06 AM*
- *მზის ჩასვლა 6:27 PM*

გთხოვთ თან იქონიოთ მზისგან დამცავი საშუალება და სათვალე.

შენიშვნა:
საბაგირო გზის საშვები (“Ski Pass“)- გადმოგეცემათ უსასყიდლოდ.